სტამბა და რედაქცია ტფილისი, სასახლის ქ., სათ.-აზნაურო ქარვასლა.
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართავენ რედაქციის დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 და „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიას.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
ცალი ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція „Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363.



## „ბავშვების მოკეთის"

შესახებ.



აუარებელი გამამხნევებელი წერილები მშობლებისა და მასწავლებლებისა და მარჯვედ ყიდვა ამ წიგნისა მაიძულებენ მეორე გამოცემა დავიწყო და ვსთხოვ ყველას, ვისაც-კი გული ერჯის სამშობლო საყმაწვილო ლიტერატურისათვის, მომაწოდონ თავიანთი შთაბეჭდილებანი და შენიშვნები ამ წიგნის შესახებ.—ყველა შენიშვნას სულითა და გულით მივეგებები. მიწერ-მოწერა შეიძლება ან ჩემს სახელობაზე სათავად-აზნაურო სკოლაში, ან „ცნობის ფურცლის" რედაქციაში.

წიგნი „ბავშვების მოკეთე" მოწონებული და სახელმძღვანელოთ დადებულია მთავრობის მიერ.

ეს წიგნი იყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში.—სოფლის მასწავლებლებს იაფად დაეთმობათ, ე. ი. უყდო 20 კაპ., ყდიანი 25 კაპ., თუ პირდაპირ ჩვენგან გამოიწერავენ.

ადრესი: Тифлисъ. Типографія Хеладзе, для передачи учителю Натадзе.

(50—26) პატივისცემით ალ. ნათაძე.

## ВИНОГРАДНЫЕ ПРЕССЫ

трехъ величинъ

и

## ВИНОГРАДНЫЯ МЯЛКИ

продаетъ торговый домъ

С. П. Павловъ и К°

Тифлиъ. Лорисъ-Меликовская улица № 6. Телефонъ № 349.

## პრესები ყურძნის დასაჭყლეტად

სამი ნაირის ზომისა

იყიდება ს. პ. პავლოვისა და ამხ.

## სავაჭრო სახლში

ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 6.

ტელეფონი №349. ტელეფონი № 349.

(15—4)

## შპალერების საწყობი

## ი. გ. მელიქიშვილისა

ტფილისი, სასახლის ქ. სათავ.-აზნ. სახლი № 102

ყოველთვის იშოვება მრავალი ხარისხის შპალერი

ფასი ყველაფერზე იაფია

შპალერი თვითო ნაჭერი 8 კაპ. მოყოლებული 20 მანათამდე ოთახ-დარბაზების მოსართავი და გასაწყობი სამკაულები.

Депо обоевъ

## І. Г. МЕЛИКОВА

Тифлисъ, Дворцовая ул., д. Грузинскаго Дворянства (бывш. Арцруни) № 102, около муз. магаз. ЛАНКО. (100 37)

Ресторанъ «Южные номера» обѣдъ и ужинъ

ახლად გამართული რესტორანი

## „იუჟნი ნომერა"

ტფილისი, ბარონის ქუჩაზე

ყოველთვის იშოვება მშვენივრად დ გემოიანად გაკეთებული სადილ-ვახშამი და საუზმე

ხორაგი ყოველთვის ახალი და სუფთაა

რესტორანთან არის მრავალი კაბინეთები და ოთახები იქვე მშვენიერს ბაღში აუზია ცოცხალის თევზებით

ფასი ყველაფრისა იაფია

(30—14) პატივისცემით ილია აბრამიშვილი

Ресторанъ «Южные номера» обѣды и ужины, дешевизна

!!ყველას საგულისხმოდ!!

31 მაისიდან მცხეთის სადგურის მახლობლად 200 საჟენის მანძილზე (ბეჟანოვის საგარაკოში) სასეირნო ბაღი

## არმაზი

ბაღში იქნება მუდმივ ევროპიული და ადგილობრივი საჭმელ-სასმელი.

ავდრებისა და უამინდობის დროს ბაღში გამართულია ფარდულები და ოთახები.

ეზოში მშვენიერს აუზში სასმელი წყალია წყაროდგან,

ცოცხალი თევზები

ყველაფერი იაფად

მშვიდობიანობა და სიწყნარე ყოველთვის დაცული იქნება.

(40—29) ე. ხხარტიშვილი

გამოვიდა და ისყიდება, ქალაქის ყველა მაღაზიებში და ეკკლესიებშიაც, ცხოვრება წმ. ქალწულ მოწამისა

## მარინესი

(სურათით)

გამოცემა მორჩილის რ. ბარამიძისა

ფასი ერთი შაური

(10—5)

სამკურნალო და ამბულატორია

## ს. გ. თოფურიასი

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან:

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე· შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. გ. თოფურია. საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს ფ. ქ. გერრატი.

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.

20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r ф. ბაცევიჩი.

თვალების ავადმყოფობას—ი. ქ. ვარშავსკი.

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმო და საბაქტეროლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და საქისთვის.

სამკურნალო დირექტორი ს. გ. თოფურია.

Лѣчебница С. В. Топурія въ Кутаисѣ.

# ახალი ამბავი

*** ქუთაისის ახალი სამხედრო გუბერნატორი გენერალი გერშელმანი უნდა ჩამოსულიყო პეტერბურგიდამ ამ თვეში, მაგრამ საქმეების გამო ვეღარ ჩამოვა.

*** **ქუთაისის საბჭოს დადგენილების გამო.** გუში-წინ ჩვენ გადმობეჭდილი გვქონდა „ივერიიდან“ რომ ქუთაისის საბჭომ გამგეობის, თუ ბ-ნ ლოლუას წინადადებით გარდასწყვიტა სამკურნალოს აშენება და წყლის გამოყვანაო. ეხლა გვატყობინებენ ქუთაისიდან, რომ ხსენებული წინადადება სამკურნალოს გახსნაზე გამგეობისა კი არა, გუბერნატორისაგან იყო თურმე, ხოლო მეორე წინადადება მილის წყლის გაყვანაზე ოპოზიციამ შემოიტანა, წინაამდეგ ბ-ნ ლოლუას სურვილისა, რომელიც ურჩევდა საბჭოს წყლის რიონიდან გამოყვანას და „ფილტრით“ გაწმენდასო.

*** **სომხების ეკკლესია ბათომში** საცაა მოსრულდება. შენობის საქმე, თურმე, ჩქარა მიდის; ხოლო ქართველთა ეკკლესიაზე კი არა ისმის-რა. არ ვარგა ასეთი გულ-გრილობა!

*** **როტშილდის ქარხნის ახალი მმართველი.** განსვენებული ზრადლოვსკის მაგიერ, რომელიც ამ ორი თვის წინად გარდაიცვალა ოდესაში, როტშილდის ქარხნის მმართველად დაუნიშნავთ ქ. ბათომში ა. ი. ვეინშეინტი.

*** **სომხების სკოლების შესახებ.** ტფილისის გუბერნიის სასოფლო სკოლების დირექტორი შეეკითხა ყველა წიგნების გამომცემლებს, თუ რა სახელმძღვანელოებს ხმარობდნენ სომეხთა სკოლებიო და სთხოვა სიები ამ წიგნებისა შეადგინონ.

*** **ტყიბულის ქვა-ნახშირი და ახალი ქარხნები.** ქვა-ნახშირის წარმოების ამხანაგობამ გამოიკვლია, რომ თუ ტყიბულის ახლო-მახლო რკინისა და ფოლადის წარმოების ქარხნები არ ააგო, ქვა-ნახშირი და იმისგან გაკეთებული ბრიკეტი ამხანაგობას სარგებლობას ვერ მოუტანს. ამაზე დარწმუნებული ამხანაგობა შესდგომია მადნების ძებნას კავკასიაში და როგორც შევიტყვეთ, სულ მალე ქარხნების აგებას მოვესწრებით, რადგან რკინის მადნეულობით ძალიან მდიდარია ჩვენი ქვეყანა.

*** **გადმოსახლებულნი სოხუმის მხარეში.** გადმოსახლებულ რუსებმა სთხოვეს მართებლობას, რომ 15 წლის განმავლობაში არავითარი სახელმწიფო გადასახადი არ გადაგვახდევინოთო, მაგრამ ფინანსთა სამინისტროს აზრით ეს უმართებულო იქნებაო და მიეცეს იმათ ისეთივე შეღავათი, როგორიც სხვა ამ მხარეში გადმოსახლებულთ ეძლევათო.

*** **ტფილისის მეორე საქალებო გიმნაზიაში** მოსწავლეთა მიღება და გამოცდა დაიწყება 24 აგვისტოს.

*** **საქონლის ჭირი.** თიანეთის მაზრის უფროსი შუამდგომლობს, რომ თიანეთის მაზრაში ჯარების მოთხოვნილებისათვის საქონელი არ მოითხოვონ, რადგან ჭირი გავრცელდა სხვა მაზრებშიაცო.

*** **ბაკურიანის რკინის გზა სულ** გათავებული იქნება ამ წლის ნოემბერში.

*** **ერთი ამბავის გამო.** ბ-ნო რედაქტორო! „ც. ფ.“ მე-601 №-ში დაბეჭდილია შენიშვნა ნაძალადევის პირველ ქუჩაზე მოვაჭრე ვიღაც თავგასულ მეწვრილმანეზე, ხოლო მისი ვინაობა არ არის გამოცხადებული, რის გამო ჩირქი ჩვენც, დანარჩენ მეწვრილმანეებსაც გვედება; ამიტომ სასურველია, რომ თავგასული და უწმაწური სიტყვა-პასუხის მქონე მეწვრილმანის სახელი და გვარი გამოცხადებულ იყოს თქვენის მოამბისაგან. *)

პეტრე ნარიმანოვი

*** **წირვა-ლოცვას მოკლებულნი.** ჩვენ გვატყობინებენ ყარაიაზიდან, რომ სოფ. ყარატაფაში მცხოვრები აისორები მოკლებულნი არიან წირვა-ლოცვის მოსმენას, თუმცა პატარა ხის ეკკლესიაც აქვთ თურმე. სასურველია, რომ ხსენებულ სოფელში ხშირ-ხშირად სრულდებოდეს მღვდელთ-მოქმედება.

*** **შეცდომის გასწორება.** „ცნ. ფურ.“ მე-600 №-ში დასტამბული იყო ამბავი დაბა აბაშაში წარმოდგენის გამართვის შესახებ, ხოლო კორექტურულის შეცდომით დაბა კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ სოფელი, რადგან აბაშა სოფელიც არის და დაბაც.

*** **შეცდომის გასწორება.** ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ სურამში საქველ-მოქმედო საღამოზე, რომელიც ამ თვის 15 უნდა მოხდეს, მონაწილეობას ვერ მიიღებს ჩვენი ახალგაზდა მომღერალი ბ-ნი ნანობაშვილი, რადგან ამ ხანად კონცერტებში გამოსვლა არ უნდა.

*** **კაცის მოკვლა.** „მწარე წყლის“ მახლობლად, ჯუგაანთ სასოფლო საზოგადოებასთან 6 აგვისტოს ს. ქოთაანის მცხოვრებელმა გიო ბასილაშვილმა ჩხუბის დროს ჩობახის დარტყმით მოჰკლა სოფ. ჩაილურის მცხოვრები გლეხი სახელად ივანე; გვარი არ იციან. გამოძიება სწარმოებს.

*) ჩვენ სრულიადაც თანავუგრძნობთ პ. ნარიმანოვის მწუხარებას, მაგრამ თან არ შეგვიძლიან არ ვუსაყვედუროთ, რომ ჩვენ გაზეთში დაბეჭდილი შენიშვნა თავგასულ მეწვრილმანეზე პირველი და უკანასკნელი არ არის და რატომ თვითონ ბ-ნი ნარიმანოვი და სხვა მისივე ხელობის კაცნი არ გამოაშკარავებენ და არ დატუქსავენ დამნაშავე მეწვრილმანეს, რომელსაც ისინი უეჭველია ყველანი იცნობენ, ვითარცა უწმაწურ და თავგასულ კაცსა. რედ.

*** **კაცის დაჭრა.** 17 ივლისს ს. ალმალოს მცხოვრებელმა ნაბი ალი-ოღლიმ მძიმედ დასჭრა ხანჯლით სოფ. ჯუნუთის მცხოვრები მაჰმედ სეიდ ოღლი, რომელიც ღამე ყარაულობდა თავისს ყანას ალი-ოღლის ჰსურდა მოეპარა ძნები, მაგრამ რადგანაც შეუტყო პატრონმა, მან ჯერ ორთითით დაუწყო ცემა თავში და მერმე ხანჯლით დასჭრა მუცელში. ბოროტ-მომქმედი შეიპყრეს; გამოძიება სწარმოებს.

*** **მაშინისტების სახელმძღვანელო.** ჩვენ შევიტყვეთ, რომ იბეჭდება და ამ მოკლე ხანში გამოვა გასასყიდათ ახალი წიგნი, შედგენილი იოსებ ფანცულიას მიერ რუსულ ენაზე, ეგრედ წოდებული: „Отвѣты на вопросы, предлагаемые при испытаніи желающихъ получить право на самостоятельное управленіе паровозомъ“. ამ წიგნის შემწეობით ადვილად შეიძლება მომზადება მაშინისტის თანამდებობაზე.

*** **დ. გუდაუთი** (აფხაზეთი). **გუბერნატორის მობრძანება სამხედრო ჯარითურთ.** 2 აგვისტოს აქ მობრძანდა რუსეთის საზოგადოების გემით ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის თანაშემწე, რომელსაც თან მოჰყვა სამასი ქვეითთა სამხედრო ჯარი და 70 ცხენოსანთა რაზმი. რამ გამოიწვია აგეთი მოგზაურობა ჩვენში, ყველას მოეხსენება. კოკამ ყოველთვის ვერ მოიტანა წყალი და ერთხელ გატყდა—აფხაზებსაც ისე დაემართათ. მუდმივ ბოროტ-მოქმედებამ და კაცის კვლამ მთავრობა აიძულა იარაღი ჩამოეხსნა ყველა აქაურ მცხოვრებთათვის.

— **სამწუხარო ამბავი.** 3 აგვისტოს, საღამოს 9 საათზე, ერთის აქაურის მცხოვრების ო. ბუაძის სახლში რევოლვერის ხმა გაისმა. ამ ბუაძის მახლობლათ სახლობს მ. მარღანაძე, რომელიც მაშინვე რევოლვერის ხმაზე მისულა მეზობლისას და უნახავს მიწაზე გაშოტვილი ბუაძის გვამი, რომელსაც წყნარის მორცხვობით თავს დაჰქვითინებდა მისი მეუღლე. მარღანაძემ ეს ამბავი მყისვე აცნობა პოლიციას, რომელიც მაშინვე გამოძიებას შეუდგა, მაგრამ მიზეზი ვერ გაიგო.

საბრალო ბუაძემ ცოტა გაახილა თვალი და სთქვა ცოლის სახელი და ისევ მიითვლიმა სამუდამოდ. საბრალო ბუაძეს დარჩა წვრილი შვილები. თვითონ ჯერ ახალგაზდა კაცი იყო.

ნალაჩა

*** **კახეთი.** მთელმა ივლისმა ისე გაიარა, რომ ცვარი წვიმა არ ჩამოვარდნილა, ძალზე ცხელოდა. ამ სიცხეებმა მალე შემოიყვანეს პური, მაგრამ სიმინდებს-კი ძალიან აწყინა. გლეხკაცმა მომკო პური, გალეწვას შეუდგა და იძახოდა: ღმერთო! ერთი კარგი წვიმა მოიყვანე, იქნება მოიბრუნოს წელი სიმინდმაო, თორემ პურს რაც უნდა კარგი მოსავალი ჰქონდეს, თუ სიმინდი არ მოჰყვა, გლეხკაცს მთელს წელიწადს მარტო პური ვერ ასაზრდოებსო. მართლაც, 22 ივლისს ცა მოიღრუბლა, ასტყდა ჭექა-ქუხილი და საღამოთი დაიწყო წვიმა. მთელი ღამე გამუდმებით მოდიოდა წვიმა.

— **მეხით დაშავებული.** ამავე ღამეს სოფ. კურდღელაურში შემდეგი უბედურება დატრიალდა: ერთი გლეხის ახლო მეხი ჩამოვარდა, ნაპერწკალი მოჰხვედრია საბრალოს და ნახევარი მხარი მთლად დამწვარი და გაშავებული აქვს. არც კვდება და არც რჩება, ისე იტანჯება საწყალი.

— **სომხების სკოლების ჩაბარება.** 21 ივლისს თელავში ჩამოვიდა სახალხო სკოლების დირექტორი, რომელმაც ჩაიბარა სომხის სკოლები და ამ დღიდან თვითონ განაგებს.

თელაველი

*** **ს. ყვიბისი. მადნეული წყალი აბანოდ.** ს. ყვიბისი სძევს ბორჯომის რკინის გზის ლიანდაგის გვერდზე ბორჯომიდან 4 ვერსის მანძილზე. ეს სოფელი უხვათ არის დაჯილდოვებული სუფთა და ჯანმთელი ჰაერით და მრავალი წყაროებით, რომელთა შორის მოიპოვება იმისთანა წყაროებიც, რომელთაც აქვთ მინერალური თვისება, მაგალითად, ყვიბისის 3 ვერსის მანძილზე ტყეში არის ძველი ნაშთი აგებული ეკკლესია, რომელსაც ბერის საყდარს ეძახიან. ამ საყდართან გამოდის ერთი მეტათ მშვენიერი და დიდი წყარო, ეს წყარო ძალიან ჰკურნავს სხვა და სხვა სენით შეპყრობილ ავათმყოფს, მაგრამ სამწუხაროთ ძალიან უყურადღებოთ არის მიგდებული, მაგალითად, ავანტყოფს რომ უნდოდეს ბანება, უნდა ქვაბში გაათბოს და ისე იბანოს ტანი. კიდევ ამ წყლის მახლობლათ ერთი სახლი არ არის, რომ ადამიანმა თავი შეაფაროს; ამ წყლის ასე უყურადღებოთ დატოვება აქაურების უგუნურების მიზეზია, მაგალითად აქ ერთ კაცს ვერ ათქმევინებ, რომ აქ სამკურნალო წყალი არისო, რადგანაც ყვე-

ლა გლეხები მალავენ, რომ გარე-
შე ხალხმა არ გაიგოსო, თორემ
ბევრი ხალხი მოიწყდება და გაგ-
ვანადგურებსო, უგუნურებმა ის-კი
არ იციან, რომ ბევრი ხალხის
მოწყვეტა ამ წყაროს გააუმჯობე-
სებს, რაკი მთავრობა გაიგებს ამ
წყაროს, სახლსაც გადაადგამს, აუ-
ზებსაც გაუკეთებს და სუყველას-
თვის უფრო სასარგებლო იქნება,
რადგანაც აქ ბევრი ხალხი დაიწ-
ყებდა მოძრაობას და საწყალი გლე-
ხები ისარგებლებდნენ ქათმის, ყვე-
ლის, კვერცხის, რძის, ბადეულო-
ბის და ბოსტნეულობის გაყიდვით.
ძალიან კარგი იქნებოდა, რომ ად-
გილობრივ მამასახლისს გაევრცე-
ლებინა ამ წყაროს თვისება, (რო-
მელსაც არა ერთხელ გაუსაღებია
ხანგრძლივი დავარდნილი ავამტ-
ყოფი და ქარებით დახუთული
ხალხი) საზოგადოებაში და აგრე-
თვე ეცნობებინა მთავრობისთვის,
რომ გაეუმჯობესებინათ ზემოთ
მოხსენებული აბანო.

იოსებ ხეობელი

*** **დ. ჩოხატაური** (გურია). განმარტება. ბ-ნო რედაქტორო! თქვენი გაზეთის 593 №-ში დაბა ჩოხატაურიდამ არის დაბეჭდილი ერთი მოკლე შენიშვნა, რომ ვითომ აქაურ ექიმს 2 საათი აქვს დანიშნული ავადმყოფების მისაღებათო,—ეს დრო არ კმარაო, იმდენი სნეულია, რომ ვერ ასწრებს ყველას მიღებასაო და სხვა.

მე, როგორც მაყურებელი, არ შემიძლია არ ვსთქვა, რომ აქაურ ექიმს არამც თუ ორი საათი აქვს დანიშნული, არამედ დილის 8 საათიდამ 10 საათამდე იწერება ავადმყოფები და 10 საათიდამ-კი მეორე საათამდის თვითეულად ნახულობს ყველას და თან დანარჩენ დროსაც, ვინც-კი მიმართავს, ჩვეულებრივ იმასაც ღებულობს, ე. ი. დროც არ არის თითქმის დანიშნული ავადმყოფებისათვის, მით უმეტეს უფროვე გაჭირვებულთათვის და ამიტომ გასაკვირვალია ამნაირი სიცრუე, თორემ აბა როგორ იკმარებს 2 საათი, როდესაც ყოველ დღე ავადმყოფთა რიცხვი ოცმოც სულზე მეტია და ხან-კი სამოცზედაც ადის.

ხულელი

*** **თელავი.** წიგნთ-საცავის მდგომარეობა. ყველა ქალაქებში, დაბებში და სოფლებში აარსებენ წიგნთ-საცავს, იწერავენ ყველა ქართულ-რუსულ ჟურნალ-გაზეთებს, ყიდულობენ წიგნებს, ან სწირავენ და დღითი დღე აწინაურებენ და ამდიდრებენ ახლად დაარსებულს წიგნთ-საცავს. ეს არ შეგვიძლია ვსთქვათ თელავის წიგნთ-საცავზე, რომელიც აგერ თორმეტიოდ წელიწადია, რაც დაარსდა ბ-ნ ივ. როსტომაშვილის მეთაურობით მას აქეთ არც ერთი წიგნი არ მოჰმატებია, რაც არა დაჰკლებია-რა ავეჯი ისევ ის არის, დაძველებული და დანჯღრეული, სურათებიც დაძველებულია. მაგიდა, რაზედაც კითხულობენ, ისეა დანჯღრეული, რომ ფეხები გამოსცლია და ლურსმნებით არის იატაკზე მიმაგრებული. წიგნები სულ 700 ცალი-და შერჩენია —200 ქართული და 500 რუსული. წიგნთ-საცავს მოსდის შემდეგი ჟურნალ-გაზეთები: „ივერია“, „ცნ. ფურცელი“, „კვალი“, „მოამბე“, „ჯეჯილი“; „კავკაზი“, „Нов. Обоз.“, „ნედელია“, „კნიჟკი ნედელი“ და „რუსს. მისლ“. აი ეს არის თელავის წიგნთ-საცავის ავლა-დიდება. თვიური წევრების მოსპობით სამკითხველოს ბევრი დააკლდა. ჟურნალ-გაზეთები კვირაში ორჯელ მოდის ფოსტაზე და ამიტომ მარტო ამ ორ დღეს არის ხოლმე ხალხი ბიბლიოთეკაში, თელავის კლუბს-კი და მომეტებულ ნაწილად აქაურს მცხოვრებლებს ყოველ დღე მოსდის გაზეთები დილიჟნებით, რომელნიც დღეში ორ-ორი მოდიან; საღამ-საღამოთი, როცა ისინი ახალ ამბებს კითხულობენ, ჩვენ თვალ-და-ჭყეტილნი შევყურებთ. რა კარგი იქნებოდა, რომ ყოველ-დღე მოსდიოდეს გაზეთები წიგნთ-საცავს! მაგრამ ამას ვინ გვაღირსებს,

კვირა არ გავა, რომ თელავში ან თეატრი, ან კონცერტი არ იყოს ხოლმე ხან თავიანთ ჯიბისთვის და ხან საქველ-მოქმედო მიზნით; აი ეს ზაფხულიც გადის და ერთი გულ-შემატკივარი კაცი არ გამოჩნდა, რომელსაც შეჰბრალებოდა წიგნთ-საცავი და აღმოეჩინათ შემწეობა წარმოდგენით თუ სხვა რამით.

ბიბლიოთეკარმაც თავი დაანება, რადგან სწავლის განგრძობას აპირობს და რომელიც მადლობის ღირსია, რადგანაც წიგნთ-საცავს შემოსწირა საათი, შოთა რუსთველის სურათი და სხვ., სულ 7 მანეთამდის ღირებული. ახალი ბიბლიოთეკარი ვერ იჩენს ფხას: გვიან აღებს და ადრე ჰკეტავს, ოთახი დაუსუფთავებელი აქვს, გაზეთები არეული და რომ იხრჩობოდეთ, ცვარი წყალი არ ეღგმება...

თელაველი

*** **ს. ჩხენიში** (იმერეთი). საბალახო ადგილის გამო. ეს სოფელი მდებარეობს 7 ვერსის მანძილზე დ. სამტრედიიდან და შეცავს ორასამდე კომლს. მკვიდრნი ამა სოფლისანი უმეტეს ნაწილად მისდევენ ხვნა-თესვას, მაგრამ ამ ბოლო დროს სიმინდის დაკლებულმა ფასმა გლეხებს ამ შრომაზედაც ხელი აალებინა. იმათ მაინც გული არ გაიტეხეს და სამაგიეროთ მიჰყვეს ხელი შინაურ პირუტყვების გამოზრდა-გაშენებას, რადგან მათ ამ გარემოებაში ხელს უწყობდა კარგი საბალახო ტყე-მინდორი „რიყე“, რომელიც ძევს სოფ. ჩხენიშსა და მდინ. ცხენისწყლის შუა, სივრცით 300 ქცევამდე, მაგრამ ჩხენიშლებს ბედმა ამ მხრითაც უმტყუნა. ეს ზემოთ ხსენებული „რიყე„ როგორც ჩხენიშლებისას, აგრეთვე შეადგენს ცხენისწყლის გაღმა მცხოვრებ ბოკერიების კუთვნილებასაც. ბოკერიებმა წინადადება მისცეს ჩხენიშლებს — ან შეისყიდეთ, ან ნუ სარგებლობთ ჩვენი საბალახოთიო და ჩხენიშლებმაც პირობის წერილი მისცეს: თუ რაც აღმოჩნდეს თქვენი საბალახო, მთლად შევისყიდოთ ფას გადაჭრითო და კიდევაც შეისყიდეს 60 ქცევამდე, მაგრამ ჩხენიშლებმა ამის შემდეგაც ვერ ამეისუნთქეს თავისუფლად. ბოკერიების მაგალითს სხვა მეპატრონე მეზობლებმაც მიჰბაძეს და დაიწყეს რიყეში საქონლის ჭერა, რის გამო სოფლელნი იძულებულ შეიქმნენ შეემცირებინათ რიცხვი შინაურ პირუტყვებისა, ამ გზით კი ხალხი ნივთიერად შევიწროვდა და მოკლე ხანში მთლად გაღატაკდება, თუ ეგრე გასტანა.

— **შგზოობა.** ათი წლის უკან აქ ისეთი გზატკეცილი იყო გაყვანილი, რომ ზოგიერთ დაბის ქუჩებს არ ჩამოუვარდებოდა, მაგრამ გამოიცვალა თუ არა მაშინდელი მამასახლისი, იმის შეკეთებისთვის არავის უზრუნვია და იმ ზომამდე გაფუჭებულია, რომ ცოტა წვიმის შემდეგ კარგი ბედაური უნდა რომ გაატანოს და არ დაეფლას. სოფლელ კაცს, მოგეხსენებათ თუ ძალა არ დაატანე, ძნელათ რომ თავის თავათ მოიფიქროს და გააკეთოს გზა. ადგილობრივ მამასახლისი სხვა სოფლელია და გარდა ჩხენიშისა მას აბარია კიდევ სხვა ორი სოფელი და აბა ის რას დაგვიდევს, თუ ჩვენ არ გავისარჯებით ჩვენდა საკეთილდღეოთ, ნამეტნავათ შემოდგომით ან ხომ მთლათ მოწყვეტილნი ვართ ქვეყნიერობას კოტოურაში უხიდობის გამო, ხოლო გზა, საიდანაც ნაპარავი პირუტყვები მიჰყავთ, მოკეწჭილია. სასურველია ყურადღებას მიაქცევდეს ჩვენს გაჭირვებულ მდგომარეობას უგზოობისა გამო, ვისიც ჯერ არს.

სარდიონ რუხაძე

*** **დუშეთი.** ჩვენებური მტრობა. ძველთაგან ნათქვამია: „დუშეთი შორიდან მტერს თვალებს უყენებსო, ახლოდან კი თავის პატრონსაო“. ეს იმას ნიშნავს, რომ დუშეთი როგორც ქუხს. ისე არა წვიმს: მართალია, უფალს თავისი უხვი და მადლიანი კალთა აქაც დაუბერტყია, ზოგიერთ მაზრებს ბუნების სიტურფით და სიმშვენით არ ჩამოურჩება, მაგრამ გონებაგანვითარებით და მოქალაქობრივი მოღვაწეობით ზოგიერთ-დაბა-სოფლებზედაც კი ძირსა სდგას: მე იმას არ მოგახსენებთ, რომ მთელ დუშეთის მაზრაში სამ-კლასიანი სასწავლებელიც კი არ მოიპოვება, არც იმას ვჩივი, რომ სახეირო სასაჯარო საკრებულო არა გვაქვს, მე მხოლოდ ჩვენდა საწყენოთ, ის მოვლენა მინდა აღვნიშნო, რომ უბრალო საქმის გაკეთების შნოც არა გვაქვს. მაშ რას მივაწეროთ, თუ არ დაუდევრობას, რომ ცხინვალში, თუ მარტყოფში, საქველ-მოქმედო აზრით წარმოდგენა იმართება და დუშეთს კი ეძნელება დაეჩოთირება?! მაშ რას დავაბრალოთ თუ არ ლაჩრობას და უფხოობას, რომ მეჯვრიხევში, თუ სურამში სამკითხველოა, და აქ კი ჯერ მის ნატამალიც არ არის?!

ერთი სიტყვით, რაც დუშეთს თავი ახსოვს, არის ერთი კერპის დონეზე: არც წინ მიდის, არც უკან იწევს.

— **წყაროს გამართვა და ხეივანის გაშენება.** დუშეთის მოურავის კობიაშვილის მოქმედებას ნელ-ნელობით სასარგებლო ნაყოფი გამოაქვს: სასმელი წყარო მშვენივრად გამართა და ახლა აზრად აქვს, გზა-ტკეცილზე ხეივანი გააშენოს. ღმერთმა ხელი მოუმართოს კეთილ საქმეზე.

ალავერდი

## რედაქციისაგან

**ლანჩხუთში** ი. გოგიჩაიშვილს. თქვენი წერილი, რომელშიაც გვთხოვთ, დაგემოწმოთ, რომ თქვენი ნაწერი არ არის «ცნ. ფურც.» 540 №-ში დაბეჭდილი ცნობა «ერთს უპატიოსნო ქალზე»— არ იბეჭდება, რადგან თქვენ იწერებით თავის გასამართლებლად, ვითომც ხსენებული ამბავი საყურადღებო არ ყოფილიყოს. საყურადღებო რომ არ ყოფილიყო, არც დაიბეჭდებოდა, ხოლო გვემოწმებით, რომ ხსენებული საყურადღებო წერილი თქვენი არ არის.

## თეატრის მატიანე

**დ. ხაშური.** ქართული წარმოდგენა. 5 აგვისტოს ბბ. გალუსტოვმა და მჭედლიშვილმა გამართეს წარმოდგენა ადგილობრივი სცენის მოყვარეთა დახმარებით. წარმოდგენილ იქმნა სამი ვოდევილი: „დამბაჩა და რევოლვერი“, „არც აქეთ, არც იქეთ“ ვ. გუნიასი და „ოინბაზი“ ა. ცაგარლისა. „დამბაჩა და რევორველში“ მშვენივრად ითამაშეს ბბ. გალუსტოვმა (ბლითაძე) და ი. მჭედლიშვილმა

(ყბედაძე). „არც აქეთ, არც იქეთ“-ში, სადაც ტარასი მშიერიძე უჩივა ქართული აქტიორის ბედს და შიმშილს აცხადებს, ეს ადგილი ბ. გალუსტოვმა მშვენივრად დაგვიხატა, რამაც მაყურებელ საზოგადოებაში სიბრალულის ხმა გამოიწვია: „ვაი საცოდავი, ვაი საცოდავი“-ო. იორდანეს როლს ასრულებდა ბ. ბიბილაშვილი და კარგიც იყო. ბ. მ. წერეთელსაც არა უშავდა რა ჯირჯინაშვილის როლში.

ვოდევილი „ოინბაზი“ ძალიან კარგად ჩაატარეს. ჯინჭარაძის როლი ნიჭიერად შეასრულა ბ. ი. მჭედლიშვილმა ტერ-ოპოპიანცის როლში ბ. გალუსტოვი მშვენიერი იყო. სონას როლს თამაშობდა ქ. გალუსტოვისა და კარგიც იყო. წარმოდგენაზე საზოგადოება ბლომად დაესწრო. წარმოდგენის შემდეგ გაიმართა ქართულ-ევროპიული ცეკვა.

როგორც გავიგეთ, ბბ. გალუსტოვი დ მჭედლიშვილი ამ თვეში კიდევ გამართვენ რამდენიმე წარმოდგენას.

სან-ნარი

—

**დ. ყვირილა.** ქართული წარმოდგენა. კვირას, ორ აგვისტოს, აქ გამართეს ქართული წარმოდგენა ტფილისიდან ჩამოსულ მოთამაშეებმა. წარმოდგენილ იქმნა ოთხი ვოდევილი: „დამბაჩა და რევოლვერი“, „სუსტი მხარე“, „ცოლ ქმრობის წინაალმდეგ“ და „ოინბაზი“. მართალია, ბბ. გალუსტოვი და მჭედლიშვილი კარგად თამაშობდნენ, მაგრამ დანარჩენი მოთამაშეები ვერ უწყობდნენ ხელს, როგორც როლის უცოდინარობით, ისე მოუმზადებლობითაც. კარგად შეასრულა თავისი სიმღერა ქ-ნ შავლიევისამ, მაგრამ დალოცვილს ქართული ლაპარაკი არა სცოდნია.

საზოგადოება უკმაყოფილო დარჩა, მიუხედავად იმისა, რომ აფიშაზედ გამოცხადებული იყო, „წარმოდგენას გამართვენ ტფილისის აქტიორებიო“.

თავისუფალი

—

**ს. დვაბზუ** (გურია). ქართული საქველ-მოქმედო წარმოდგენა. კვირას, ორ აგვისტოს, დვაბზუის სოფლის სკოლის დარბაზში სცენის მოყვარეთ წარმოადგინეს საქველ-მოქმედო მიზნით 3 მოქმედებიანი დრამა ყაზბეგისა „არსენა“ და ბოლოს ითამაშეს ერთ მოქმედებიანი ვოდევილი ვ. გუნიასი „მონადირე“. წარმოდგენამ საზოგადოთ გვარიანად ჩაიარა; მაყურებლებიც თითქმის ნასიამოვნები დარჩნენ. ბ. ქვიტირელმა რიგიანად ითამაშა გარსევანის როლი, მხოლოდ მუდამ ერთგვარად ყვიროდა; ამავე ქვიტირელმა მშვენივრად ითამაშა „მონადირეში“ რევაზ ნადირაშვილის როლი. სწორედ საქებად დაგვიხატა რევაზი და ამ მხრით მადლობის ღირსია ბ. ქვიტირელი. იორამის როლი ითამაშა ი. ღლონტმა. ბ. შაქრიშვილი კი სუსტად ასრულებდა არსენას როლს. ქ. ნინა ჯაყელისას არა უშავდა რა მოახლის როლში. ქ. მაშო ჯაყელისამ მშვენივრად ითამაშა „მონადირეში“ ნუცას როლი. სუსტი იყო პეტრეს როლი „არსენაში“ და უშტვინაძის „მონადირეში“ ვ. ურუშაძე. სიდონიას როლს „არსენაში“ თამაშობდა კნ. ლ. მიქელაძისა, რომელმაც რიგიანათ ითამაშა, მხოლოდ ცოტათი მორცხვობდა. ნაკაშიძემ რიგიანათ შეასრულა სირაჯის როლი. დანარჩენები კი სუსტობდნენ.

ი. სალომეშვილი

## სასამართლოს მატიანე

—

**დ. ჩოხატაური.** მოქმედებით შეურაცხყოფა. 3 აგვისტოს ჩოხატაურის მომრიგებელმა მოსამართლემ გაარჩია საქმე იონა გოგიჩაიშვილისა და გ. ურატაძისა, რომელსაც პირველი ბრალს სდებდა— სრულიად უმართლოდ და წინ განზრახულობით დ. ლანჩხუთში შეურაცხყოფა მომაყენა მოქმედებით და ითხოვა დამნაშავე დაესაჯათ 130 კან. მუხ. ძალით. უპირველესად მოსამართლემ წინადადება მისცა შერიგებაზე, მაგრამ გოგიჩაიშვილმა უარი განაცხადა. მოსამართლე შეუდგა მოწმეების ჩვენების ჩამორთმევას. პირველმა ოთხმა მოწმემ: იაგ. სალუქვაძემ, ყარ. ჩხაიძემ, გ. ჩხაიძემ და საჩ. კერესელიძემ უჩვენეს შემდეგი: 27 ივნისს დღისით 12 საათზე გოგიჩაიშვილი მიდიოდი ბაზრის შუაგულ ქუჩაში (დ. ლანჩხუთში), როცა დაუძახა გ. ურატაძემ, შეიყვანა დუქნის ერთს ოთახში ვითომ-და რაღაცის დასაწერად, მაგრამ როცა შიგ შევიდა გოგიჩაიშვილი, ურატაძემ დაარტყა და გაიქცაო. მეხუთე მოწმემ მირ. ქიქოძემ უჩვენა, რომ ურატაძე 26 ივნისს, ღამის 11 საათზე, უძახოდა გოგიჩაიშვილს რაღაც საქმისათვის და მეორე დღეს-კი ეს მოუხდენია, რასაც სხვა მოწმეები ამბობენო.

სასამართლომ მიუსაჯა ურატაძეს სამი თვით დაპატიმრება, რომლის განაჩენს მოპასუხე არ დასწრებია და არც მისი ვექილი.

რისთვის ჩაუდენია ურატაძეს ასეთი საქმე, ჯერ არავინ იცის, მხოლოდ ქორად ვინ იცის რაებს არ ამბობენ.

პ. გორისგვერდელი

## სხვა-და-სხვა ამბები

—

ლონდონელი ქალების ახალი გასართობი, გაზ. „Berliner Börsen Courier“-ში ლონდონიდან გვიამბობენ, რომ იქაური ქალები აღარა კმაყოფილდებიან ამ ჟამად თავის გასართობათ კატებით და ძაღლებით, და ცდილობენ შეიძინონ უფრო იშვიათი ცხოველები, იმის მსგავსად, როგორც კაცები ცხენით სიარულს დაძველებულ ჩვეულებადა სთვლიან და ამისათვის ლორდმა როტშილდმა გაიჩინა სახლში ოთხი ზებრი; ლორდი მელვილი ირმებით შებმულ ეტლით დასეირნობს, ჭერცოგი დევანშირელი კიდევ—არაბულ გარეულ ვირებით. სარა ბერნარმა შემოიღო გველი, როგორც შინაური გასართობი, და მშვენიერს ლედი დუდლიეს ამ ჟამად ცოცხალი გველები დააქვს ყელზე და მკლავებზედ შემოხვეული. ჭერცოგინია მალბრუნი ამას წინად სასეირნოდ გამოვიდა და ძეძკვით ორი პატარა ნიანგები დაჰყავდა; ლედი ლოლიმ კიდევ ამერიკელი მწვანე ხვლიკები გაიჩინა სახლში.

## ყურმოკრული საუბარი

—

ბავშვის გულ-წრფელობა. დედა ეკითხება თავის ხუთის წლის ქალს.

— ნუცა, არ იცი შენს მასწავლებელს ქალს როგორ ეძახიან?

— როგორ არა—ანგელოზს დედილო!

— ანგელოზს კი არა...

— მამა კი სულ ჩემო ანგელოზოს ეძახის და!

—

შეშლილი სიყვარულით. ერთი ულვაშ გაბზეკილი ვაჟი არწმუნებს ახალგაზრდა ქალს.

— ვერ წარმოიდგენთ რა მემართება! თქვენმა სიყვარულმა სწორედ გამაგიჟა და ჭკუაზე შემშალა,

— მერე რატომ მამაჩემს არ მიმართავთ!

— როგორ, განა იმედს მაძლევთ, თანახმა ხართ?!

— რასაკვირველია, თუ მართლა გაგიჟებული ხართ, მამაჩემზე უკეთესს ექიმს ვის-ღა იპოვნით, ტყუილად კი არ არის განთქმული, ვითარცა გიჟების ექიმი.


**ურბენი L'urbain**

საზოგადოება, რომელიც აზღვევს თანხებს, მზითვებს, შემოსავლებს და სხვა. შეღავათიანის პირობებით ავადმყოფობისა თუ შეუძლებლობის დროსათვის.

დაზღვეულთ მონაწილეობა ეძლევათ მოგებაში დაზღვევის პირველ წლიდანვე.

კონტორა ამიერ-კავკასიისა, ამიერ-კასპიისა, თურქესტანისა და ბუხარის მხრისათვის იმყოფება **ტფილისში**, მიხეილის ქ. № 9, პოპოვის სახლი. ტელეფონი № 543.

მთავარი რწმუნებული ბაგრატ გერასიმეს ძე ტერ-მათეუზოვი
ინსპექტორი ნიკოლოზ გერასიმეს ძე ტერ-მათეუზოვი.

ცნობანი და ბარათები ყველას მიეცემა აგენტებისაგან მთელს რუსეთის იმპერიის ქალაქებში.

Контора страховаго общ. „**УРБЭНЪ**“

Тифлисъ, Михайловская № 9, д. Попова. Телефонъ № 543.

(50—24)

**КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ,**

состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:

1) **Бухгалтеріи** двойной итальянской по разнымъ отраслямъ тортовой промышленности,
2) **Коммерческой ариѳметики** (банковыя и торговыя операціи),
3) **Ариѳметики на счетахъ.**
4) **Коммерческой экономіи,**
5) **Торговыхъ и вексельныхъ** узаконеній.

препомдаетъ **И. Я. БРОНЪ ФОНЪ-БРЕННЕРЪ, гл. бухгалтеръ общ. взаимн. сел.-хоз. кредита и препод. школы садоводства.**

Плата за весь курсъ 60 руб.

**Курсъ 3-мѣсячный,** при ежедневныхъ занятіяхъ въ теченіе 2-хъ часовъ, по вечерамъ. Начало занятій—1-е число каждаго мѣсяца.

**Аттестаты за успѣшныя занятія отъ реальнаго училища и школы садоводства.**

Составленная И. Я. Бронъ фонъ-Бреннеръ книга «Коммерческая ариѳметика» содержитъ въ себѣ VII отдѣловъ: 1) ариѳметич. вычисленія на счетахъ, 2) монетныя вычисленія, 3) товарныя сдѣлки, 4) вексельныя операціи, 5) торговыя товарищества, 6) банки и ихъ операціи, 7) биржевыя операціи (520 задачъ и таблицы). Цѣна 2 руб. **Продается во всѣхъ книжныхъ магазинахъ и у автора: Михайловская ул., № 71, и Барятинская, сельско-хоз. банкъ.**

(100—36)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 9 Августа 1898г. სტ. „ცნ. ფურც.“ (ვ. გუნიასი), სას. ქ. სახ.-ამ. ქარვ. რედაქტორ-გამომცემელი **ვ. გუნია**